PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ კოლეჯ „იბერიას“ „სასტუმრო მომსახურების“, „სამკერვალო წარმოების“ და „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ
(ქუთაისი)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ირაკლი სალუქვაძე

წევრები:

ნინო მოწყობილი
ნატალია დარჩინიანი
მანანა კობალაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: იბერია

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი:[redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით დანიშნული მონიტორინგი.

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა**	**აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა**	**სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა**
სასტუმრო მომსახურება	30	0	0
სამკერვალო წარმოება	45	15	0
თმის მომსახურება	30	0	0

IV. საერთო მიმოხილვა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2021 წლის 5 ოქტომბერს გამოცემული N1032543 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა სსიპ-კოლეჯის "იბერია"-საგანმანათლებლო პროგრამების- „სასტუმრო მომსახურების", რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. (განხორციელების ადგილი: ქ. ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. №61 და ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. №15), "თმის მომსახურების" (განხორციელების ადგილი: ქ. ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. №61) და "სამკერვალო წარმოების" (განხორციელების ადგილი: ქ. ქ. ქუთაისი, ზ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ანჯაფარიძის ქ. №61) ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით (მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე). ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა სსიპ კოლეჯის „იბერია“ მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩამოაყალიბა დამაზუსტებელი შეკითხვები ღიად დარჩენილი საკითხებისთვის, შეაჯერა განხილული საკითხები და შეიმუშავა დისტანციურ რეჟიმში წარსამართი გასაუბრების განრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა კოლეჯის ადმინისტრაციასთან.

შეხვედრის განრიგის თანახმად, ექსპერტების ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენელებს შორის დისტანციური კომუნიკაცია, თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, შედგა 2021 წლის 19 ოქტომბერს. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენელს: დირექტორს, ხარისხის მართვის მენეჯერს, მატერიალური რესურსების კოორდინატორს, შესყიდვების სპეციალისტს, პროგრამის ხელმძღვანელებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს და ბიბლიოთეკარს. ონლაინ შეხვედრისას, შესყიდვების მენეჯერმა ექსპერტებს ვიზუალურად გააცნო პროგრამებისთვის განკუთვნილი ლაბორატორია შესაბამის აღჭურვილობით. გასაუბრებისას გამოიკვეთა ზოგიერთი მტკიცებულების წარმოდგენის აუცილებლობა, შესაბამისად გასაუბრების ეტაპზე, დაწესებულებამ, ცენტრის საშულებით, მიაწოდა ექსპერტებს გარკვეული დოკუმენტები.

წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს ზემოაღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შეფასდა მეტწილ შესაბამისად, 2.2 კომპონენტის ფარგლებში პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობის სრულად არქონის გამო. მიმდინარე წარმოებით „სასტუმრო მომსახურება“, „სამკერვალო წარმოება“ და „თმის მომსახურება“ პროგრამების 2.2 კომპონენტის შესრულების შემოწმების შედეგად სტანდარტი შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისი“.

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ გამოვლენილა.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

<u>რეკომენდაციების შესრულების შეფასება საგანმანათლებლო პროგრამისთვის "სასტუმრო მომსახურება"</u>

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული იმ რეკომენდაციის შესახებ, რომლის შესრულების შემოწმება კავშირშია მიმდინარე წარმოებასთან:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- დაწესებულებამ საჭიროა სწავლის დაწყებამდე შეიძინოს აღჭურვილობის ჩამონათვალში გაწერილი მოდულის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები“ და სასტუმრო მომსახურების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი, რომელიც წარმოდგენილი აქვს გაუმჯობესების გეგმით - <u>გათვალისწინებულია;</u>
- ბიუჯეტის დოკუმენტში, შემოსავლებისა და ხარჯვით ნაწილში განსხვავებებია, სასურველია დოკუმენტში გაიწეროს რა ხარჯს წარმოადგენს სხვაობის თანხა და ამავე დროს, რენტაბელობის ზღვარი გაანგარიშებული უნდა იქნას ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის მიხედვით - <u>გათვალისწინებულია.</u>

<u>რეკომენდაციების შესრულების შეფასება საგანმანათლებლო პროგრამისთვის “სამკერვალო წარმოება"</u>

- სწავლის დაწყებამდე დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარის მობილიზება - <u>გათვალისწინებულია;</u>
- რენტაბელობის ზღვრული რაოდენობა გათვლილია პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალურ რაოდენობაზე - 30 სტუდენტისთვის. დაწესებულებამ რენტაბელობის ზღვარი უნდა განსაზღვროს პროფესიულ სტუდენტთა მინიმალურ რაოდენობის გათვალისწინებით - <u>გათვალისწინებულია.</u>

<u>რეკომენდაციების შესრულების შეფასება საგანმანათლებლო პროგრამისთვის „თმის მომსახურება“</u>

- სწავლის დაწყებამდე დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარის მობილიზება - <u>გათვალისწინებულია;</u>

- რენტაბელობის ზღვრული რაოდენობა გათვლილია პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალურ რაოდენობაზე - 30 სტუდენტისთვის. დაწესებულებამ რენტაბელობის ზღვარი უნდა განსაზღვროს პროფესიულ სტუდენტთა მინიმალურ რაოდენობის გათვალისწინებით - <u>გათვალისწინებულია.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა.

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა.

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	სასტუმრო მომსახურება
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	სსიპ კოლეჯ „იბერიას“ დირექტორის 2021 წლის 5 ბრძანება #29;
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ქუთაისი, ზ ანჯაფარიძის ქ. #61; ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. #15
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30 პროფესიული სტუდენტი - ინტეგრირებული, ქ. ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. #61, ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. #15
,სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	30 პროფესიული სტუდენტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	140
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	80
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	170
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	110

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		სრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კოლეჯ „იბერიას“ საკუთრებაში აქვს „სასტუმრო მომსახურების“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსი, რაც დასტურდება შესყიდვების/მიღება ჩაბარების აქტებით და ვიზუალური დათვალიერებით. პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილ ფართში მოწყობილია შესაბამისი A და B გარემო პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით, ხოლო C გარემოში, მიმართულების სპეციფიკის გათვალისწინებით, მომზადებულია სიმულაციური სასტუმროს ადმინისტრაციული სივრცე, სადაც წარმოდგენილია ადმინისტრაციის დახლი, სხვადასხვა დროის ზონების მაჩვენებელი საათები, ტელეფონი და ადმინისტრაციისთვის საჭირო სხვა ინვენტარი. აღნიშნულ C გარემოში ასევე ცალკე არის გამოყოფილი სასტუმრო ოთახი შესაბამისი ტექნიკური მახასიათებლებით, რაც შეესაბამება სასტუმრო მომსახურების პროგრამაში მოცემულ მატერიალური რესურსების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ჩამონათვალს. მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა“ და პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას ასევე გაფორმებული აქვს მემორანდუმები სასტუმრო „ძველ ქალაქთან“, სასტუმრო „სანი“-სთან და სასტუმრო „ბაგრატი 1003“-თან. მემორანდუმებში განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, რომლის მიხედვითაც პრაქტიკული კომპონენტის („გაცნობითი პრაქტიკა“) და ზოგიერთი პროფესიული მოდულის ფარგლებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმტკიცება განხორციელდება პარტნიორი კომპანიების ბაზაზე. აღნიშნული პროგრამის განხორციელება შესაძლებელია სრულად კოლეჯის ბაზაზე.

მიღება ჩაბარების აქტებით ასევე დასტურდება ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ განხორციელებისთვის საჭირო ინვენტარის არსებობა. კოლეჯის ლაბორატორიაში განთავსებული არის სპეციალური კარადა გამწოვით.

ექსპერტთა შეფასებით, ორ ცვლაში სწავლების გათვალისწინებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პარტნიორი ორგანიზაციების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სასტუმრო მომსახურება“, დაწესებულებას შერჩეული ჰყავს 24 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 8 ინტეგრირებულ მოდულებზე, ხოლო 11 - დარგობრივ მოდულებზე, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელი, ხოლო 8 ზოგად მოდულებზე (ამასთან, 2 განმახორციელებელი განსაზღვრულია ზოგად მოდულებზეც). მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებშიც მითითებულია კონკრეტული მოდულები. მოცემული პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო გეგმის მიხედვით, პროფესიული მოდულების განმახორციელებლის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საკონტაქტო საათს. *ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.*
3. ავტორიზაციის ექსპერტებმა შეისწავლეს პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც შეესაბამება მათზე განსაზღვრული მოდულების განხორციელების კომპეტენციის ქონას. ასევე შედგა ინტერვიუ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, მათ შორის ერთ-ერთი წარმოადგენს ასევე პროგრამის ხელმძღვანელს. გასაუბრების შედეგად და დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების დოკუმენტების შესწავლით დასტურდება, რომ *მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას.*
4. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 7 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგიით“ განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, რაც გულისხმობს პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობას, პროგრამის განმახორციელებლების საქმიანობის კოორდინირებას, პროგრამის/მოდულების შესახებ სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის მიწოდებას და კონსულტირებას. დაწესებულების მიერ, ცენტრის მეშვეობით, დამატებით წარმოდგენილი იქნა დოკუმენტები, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი, რომლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელი. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა აღნიშნული პირის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტები და წარიმართა გასაუბრება. *ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.*

5. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 25 სექტემბრის N343 ბრძანების მე-4 დანართით დამტკიცებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომლითაც განსაზღვრულია სტუდენტების და პერსონალის მიერ ბიბლიოთეკის სერვისით სარგებლობის წესები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული სახით. დისტანციური ჩართვის ფარგლებში, შემთხვევითობის პრინციპით, გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელოს არსებობა. დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია ელექტრონული კატალოგის ბმული, სადაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოიძიონ მათთვის სასურველი რესურსი.
   ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის "სასტუმრო მომსახურება" განხორციელების მიზნებისთვის განკუთვნილი სასწავლო მასალა ხელმისაწვდომი იქნება პროფესიული სტუდენტებისთვის.
6. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 26 მარტის N47 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებულია "ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია", რომლითაც განსაზღვრულია სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები. აღნიშნული მომსახურეობები გულისხმობს ჟესტური ენის თარჯიმნის/სპეციალური მომვლელის/გადაადგილების მხარდამჭერის ჩართვას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს როგორც მოდულის მოდიფიკაცია ან/და აკომოდაცია, რითაც ხდება სსსმ პირისთვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის დაზუსტება.
   ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციებით უზრუნველყოფილია სსსმ პირების პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.
7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურების“ განაცხადით წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტით განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი (7 პროფესიული სტუდენტი) და ითვალისწინებს შემოსავლის ორ სახეობას: ვაუჩერულ და პროგრამულ დაფინანსებას, ხოლო ხარჯვითი ნაწილი მოიცავს მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების, სასწავლო მიზნით გაწეულ და ადმინისტრირების ხარჯებს. *სსიპ კოლეჯი "იბერია" უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსით.*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ✓ კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 7 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია“
- ✓ კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 25 სექტემბრის N343 ბრძანების მე-4 დანართი;
- ✓ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 26 მარტის N47 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული "ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია"
- ✓ მიღება ჩაბარების/შესყიდვის აქტები;
- ✓ ვიზუალური დათვალიერება;
- ✓ ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან;
- ✓ მასწავლებლების პირადი საქმეები;
- ✓ ინტერვიურება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	სამკერვალო წარმოება
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მესამე დონე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	სსიპ-კოლეჯის „იბერია“ დირექტორის 2021 წლის 05 მარტის №30 ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოების“ დამტკიცების შესახებ
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ქუთაისი, ზ ანჯაფარიძის ქ. #61;
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	ქ. ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. №61 45 პროფესიული სტუდენტი. მოდულური.
,სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	114

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		სრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კოლეჯ „იბერიას“ საკუთრებაში აქვს “სამკერვალო წარმოების” პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსი, რაც დასტურდება შესყიდვების/მიღება ჩაბარების აქტებით და ვიზუალური დათვალიერებით. პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილ ფართში მოწყობილია შესაბამისი A და B გარემო პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით, ხოლო რაც შეეხება C გარემოს, ონლაინ შეხვედრისას მოხდა შესყიდვების მენეჯერთან გასაუბრება, რომელმაც ექსპერტებს ვიზუალურად გააცნო პროგრამისთვის განკუთვნილი ლაბორატორია შესაბამისი აღჭურვილობით. დაწესებულება მილევად რეჟიმში ახორციელებს სწავლებას ერთ ჯგუფზე (15 სტუდენტი) პროგრამაზე ,,სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი“, რომლებიც დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, იმყოფებიან საწარმოო პრაქტიკაზე, ხოლო ახალი პროგრამით აპირებენ 30 პროფესიული სტუდენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მიღებას 2 ცვლაში. ასევე დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, მილევად რეჟიმში მყოფი ჯგუფის სწავლის დასრულების შემდგომ ქვოტას სრულად აითვისებენ და აღნიშნული შესაძლებელი იქნება სამცვლიანი სწავლის გათვალისწინებით. აღნიშნული პროგრამის განხორციელება შესაძლებელია სრულად კოლეჯის ბაზაზე.

ექსპერტთა შეფასებით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სამკერვალო წარმოება“, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 4 დარგობრივ მოდულებზე, ხოლო 12 ზოგად მოდულებზე (2 განმახორციელებელი ასწავლის ზოგად მოდულებზეც). მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებშიც მითითებულია კონკრეტული მოდულები. მოცემული პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო გეგმის მიხედვით, პროფესიული მოდულების განმახორციელებლის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საკონტაქტო საათს. *ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.*
3. ავტორიზაციის ექსპერტებმა შეისწავლეს პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც შეესაბამება მათზე განსაზღვრული მოდულების განხორციელების კომპეტენციის ქონას. ასევე შედგა ინტერვიუ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, მათ შორის ერთ-ერთი წარმოადგენს ასევე პროგრამის ხელმძღვანელს. გასაუბრების შედეგად და დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების დოკუმენტების შესწავლით დასტურდება, რომ *მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას.*
4. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 7 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგიით“ განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, რაც გულისხმობს პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობას, პროგრამის განმახორციელებლების საქმიანობის კოორდინირებას, პროგრამის/მოდულების შესახებ სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის მიწოდებას და კონსულტირებას. დაწესებულების მიერ, ცენტრის მეშვეობით, დამატებით წარმოდგენილი იქნა დოკუმენტები, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი, რომლის ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელი. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა აღნიშნული პირის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტები და წარიმართა გასაუბრება. *ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.*
5. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 25 სექტემბრის N343 ბრძანების მე-4 დანართით დამტკიცებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომლითაც განსაზღვრულია სტუდენტების და პერსონალის მიერ ბიბლიოთეკის სერვისით სარგებლობის წესები. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დისტანციური ჩართვის ფარგლებში, შემთხვევითობის პრინციპით, გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელოს არსებობა. დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია ელექტრონული კატალოგის ბმული, სადაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოიძიონ მათთვის სასურველი რესურსი.

ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოების“ განხორციელების მიზნებისთვის განკუთვნილი სასწავლო მასალა ხელმისაწვდომი იქნება პროფესიული სტუდენტებისთვის.

6. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 26 მარტის N47 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებულია "ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია", რომლითაც განსაზღვრულია სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები. აღნიშნული მომსახურეობები გულისხმობს ჟესტური ენის თარჯიმნის/სპეციალური მომვლელის/გადაადგილების მხარდამჭერის ჩართვას. ინდ. სასწავლო გეგმა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს როგორც მოდულის მოდიფიკაცია ან/და აკომოდაცია, რითაც ხდება სსსმ პირისთვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის დაზუსტება.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციებით უზრუნველყოფილია სსსმ პირების პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურების“ განაცხადით წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტით განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი (7 პროფესიული სტუდენტი) და ითვალისწინებს შემოსავლის ორ სახეობას: ვაუჩერულ და პროგრამულ დაფინანსებას, ხოლო ხარჯვითი ნაწილი მოიცავს მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების, სასწავლო მიზნით გაწეულ და ადმინისტრირების ხარჯებს. *სსიპ კოლეჯი "იბერია" უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსით.*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 7 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია“
- ✓ კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 25 სექტემბრის N343 ბრძანების მე-4 დანართი;
- ✓ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 26 მარტის N47 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული "ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია"
- ✓ მიღება ჩაბარების/შესყიდვის აქტები;
- ✓ ვიზუალური დათვალიერება;
- ✓ ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ✓ მასწავლებლების პირადი საქმეები;
- ✓ ინტერვიურება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	თმის მომსახურება
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მესამე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1012
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	სსიპ-კოლეჯის „იბერია“ დირექტორის 2021 წლის 05 მარტის №30 ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „თმის მომსახურების“ დამტკიცების შესახებ
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ქუთაისი, ზ ანჯაფარიძის ქ. #61;
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	ქ. ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. №61 30 პროფესიული სტუდენტი. მოდულური.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

,სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	57
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	72

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კოლეჯ „იბერიას“ საკუთრებაში აქვს „თმის მომსახურების“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსი, რაც დასტურდება შესყიდვების/მიღება ჩაბარების აქტებით და ვიზუალური დათვალიერებით. პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი B გარემო მოწყობილია შესაბამისი ტექნიკითა და ინვენტარით პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით. ინტეგრირებული A - C გარემოს ფართობია - 65 კვ.მ. აღნიშნული გარემო ეთმობა მხოლოდ პროგრამა „თმის მომსახურების“ განხორციელებას. სწავლა წარიმართება ორ ცვლაში. სამუშაო სივრცე უზრუნველყოფილია ცხელი და ცივი წყლის რეჟიმით. C გარემოს გააჩნია გამწოვი. სამუშაო სივრცე უზრუნველყოფილია 8 სამუშაო ადგილით (სრული კომპლექტი - სკამი, მაგიდა, სარკე) ელ. დენის გათიშვა შესაძლებელია ლოკალურად. სასწავლო გარემოში განლაგებულია კარადები - ერთი კარადა ორი პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტისთვის. სასწავლო გარემოში გათვალისწინებულია უსაფრთხოების პირობები. აღნიშნული პროგრამის განხორციელება შესაძლებელია სრულად კოლეჯის ბაზაზე.

ექსპერტთა შეფასებით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „თმის მომსახურება“, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 11 დარგობრივ მოდულებზე, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელი, ხოლო 8 ზოგად მოდულებზე (2 განმახორციელებელი ასწავლის ზოგად მოდულებზეც). მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებშიც მითითებულია კონკრეტული მოდულები. მოცემული პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო გეგმის მიხედვით, პროფესიული მოდულების განმახორციელებლის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საკონტაქტო საათს. *ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.*
3. ავტორიზაციის ექსპერტებმა შეისწავლეს პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც შეესაბამება მათზე განსაზღვრული მოდულების განხორციელების კომპეტენციის ქონას. ასევე შედგა ინტერვიუ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, მათ შორის ერთ-ერთი წარმოადგენს ასევე პროგრამის ხელმძღვანელს. გასაუბრების შედეგად და დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების დოკუმენტების შესწავლით დასტურდება, რომ *მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას.*
4. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 7 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგიით“ განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, რაც გულისხმობს პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობას, პროგრამის განმახორციელებლების საქმიანობის კოორდინირებას, პროგრამის/მოდულების შესახებ სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის მიწოდებას და კონსულტირებას. დაწესებულების მიერ, ცენტრის მეშვეობით, დამატებით წარმოდგენილი იქნა დოკუმენტები, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი, რომლის ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელი. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა აღნიშნული პირის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტები და წარიმართა გასაუბრება. *ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.*
5. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 25 სექტემბრის N343 ბრძანების მე-4 დანართით დამტკიცებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომლითაც განსაზღვრულია სტუდენტების და პერსონალის მიერ ბიბლიოთეკის სერვისით სარგებლობის წესები. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დისტანციური ჩართვის ფარგლებში, შემთხვევითობის პრინციპით, გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელოს არსებობა. დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია ელექტრონული კატალოგის ბმული, სადაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოიძიონ მათთვის სასურველი რესურსი.

ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის "თმის მომსახურება" განხორციელების მიზნებისთვის განკუთვნილი სასწავლო მასალა ხელმისაწვდომი იქნება პროფესიული სტუდენტებისთვის.

6. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 26 მარტის N47 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებულია "ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია", რომლითაც განსაზღვრულია სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები. აღნიშნული მომსახურეობები გულისხმობს ჟესტური ენის თარჯიმნის/სპეციალური მომვლელის/გადაადგილების მხარდამჭერის ჩართვას. ინდ. სასწავლო გეგმა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს როგორც მოდულის მოდიფიკაცია ან/და აკომოდაცია, რითაც ხდება სსსმ პირისთვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის დაზუსტება. *ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციებით უზრუნველყოფილია სსსმ პირების პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.*
7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურების“ განაცხადით წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტით განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი (7 პროფესიული სტუდენტი) და ითვალისწინებს შემოსავლის ორ სახეობას: ვაუჩერულ და პროგრამულ დაფინანსებას, ხოლო ხარჯვითი ნაწილი მოიცავს მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების, სასწავლო მიზნით გაწეულ და ადმინისტრირების ხარჯებს. *სსიპ კოლეჯი "იბერია" უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსით.*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 7 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია“
- ✓ კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 25 სექტემბრის N343 ბრძანების მე-4 დანართი;
- ✓ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 26 მარტის N47 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული "ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია"
- ✓ მიღება ჩაბარების/შესყიდვის აქტები;
- ✓ ვიზუალური დათვალიერება;
- ✓ ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან;
- ✓ მასწავლებლების პირადი საქმეები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
✓ ინტერვიურება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. გასაუბრების განრიგი.

17.11.2021
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: